ოქმი:**ო08.37222491**

თარიღი:**06/09/2022**

ოქმი № 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 31 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე -ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ინფორმაცია განსახორციელებელი პროგრამების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. კუპრაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ .

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

3. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, კონკრეტულად მასზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. კუპრაძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მუნიციპალიტეში განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის წლის ბოლოს მოსმენა. ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ, ასევე მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, ამ პროგრამის განხორციელების მნიშვნელობაზე. მანვე გააცნო კომისიის წევრებს შემოსული კორესპოდენცია, რომელიც ეხება სასამართლოზე პროცედურული ეტაპების განსაზღვრას.

გადაწყვიტეს:

1.დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1და N2 საკითხები მიღებულ იქნას ცნობად.

2.კომისიაში შემოსული წერილი სცილდება საკრებულოს უფლებამოსილებას, რის თაობაზეც, პასუხი წერილობით ეცნობოს განმცხადებელს.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი